

ეკონომიკური კეთილდღეობა და ზოგადი ფინანსური განათლება საქართველოს მასშტაბით

ცაავა შორენა – სოციალური მეცნიერებების დოქტორი, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
ნასკიდაშვილი გიორგი – მაგისტრანტი, ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების პროგრამა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

Economic prosperity and general financial education throughout Georgia

Tsaava Shorena – Doctor of Social Sciences, Faculty of Agricultural Sciences and Biosystems Engineering, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Naskidashvili Giorgi – Master Student, Automated Information Processing and Management Systems Program, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Abstract

Introduction and Objective of Research: Economic well-being is a key element in determining the quality of life and is also essential for a nation to be competitive in the world economy. Economies include increased production, ways to strengthen industries based on creativity and innovation, create new and efficient, competitive jobs, and support economic investment. In order to raise wealth and standard of living, the economy must support and enhance financial resources.

An important factor in economic well-being is economic freedom - which implies freedom of property, lucrative transactions and business, financial well-being, which derives from the appropriate financial education and economic development of the country.

Every person has to plan their personal budget daily, allocate expenses, purchase desirable products, and financial education will help them manage their finances properly and rationally and make the right information and decisions regarding banking products.

Research Methodology: The research uses information and analysis methods.

Results and implications: While working on the paper, the problems that have been identified, the developments that have arisen, that economic and financial education are crucial to the well-being of the nation are clearly identified. Economic growth and prosperity depend on the skills, qualities and values of the country's workforce. Contemporary, motivated and dedicated people with modern skills, ability to create new technologies, improve and ensure a high standard of living in the country. It has been shown that in order to ensure economic and financial prosperity, appropriate education and strategy development are needed, financially literate people can make informed choices about savings or investments, borrowing and other financial matters, and financial education for the population of Georgia. The publication of relevant brochures; It is important and should be considered by the National Bank President Received 2016 December 15, N145 / 04 command - of the financial education of the national strategy for approval - the annex "Financial Education for the financial well-being!" the information will allow users (residents) to defend their such assets and their financial well-being of the growth of efficient steps.

Conclusion: revenues can not always precisely meet the person's financial requirements, since the income is not always stable, well, there may be an unplanned financial expenses, due to unforeseen expenses (for example, repair work, medical care costs, etc.) and / or the economic well-being and expenditures (purchase of real estate, small business interest, etc.), which is why economic prosperity, economic freedom, proper financial planning is a prerequisite for financial stability.

Keywords: financial stability, plan; freedom, efficiency, prosperity.

აბსტრაქტი

შესავალი და კვლევის მიზანი: ეკონომიკური კეთილდღეობა ცხოვრების ხარისხის განსაზღვრის მთავარი ელემენტია და ასევე აუცილებელია ერისთვის, რომ იყოს მსოფლიო ეკონომიკაში კონკურენტუნარიანი. ეკონომიკა მოიცავს გაზრდილ წარმოებას, შემოქმედებისა და ინოვაციების საფუძველზე უნდა გაიზარდოს ინდუსტრიების განმტკიცების გზები, შეიქმნას ახალი და ეფექტური, კონკურენტუნარიანი სამუშაო ადგილები და ხელშეწყობა განხორციელდეს ეკონომიკურ ინვესტიციებით. სიმდიდრისა და ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით, ეკონომიკამ ხელი უნდა შეუწყოს და გააძლიეროს ფინანსური რესურსები.

ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლება – რაც მოიაზრებს საკუთრების უფლების, მომგებიანი გარიგებების და ბიზნესის თავისუფლებას, ფინანსურ

კეთილდღეობას – რომელიც წარმოიშობა შესაბამისი ფინანსური განათლების და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველზე.

ნებისმიერ ადამიანს ყოველდღიურად უწევს პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა, ხარჯების გადანაწილება, სასურველი პროდუქტების შეძენა, ფინანსური განათლება მას დაეხმარება სწორად და რაციონალურად მართოს მის ხელთ არსებული ფინანსები და საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებით სწორად მიიღოს ინფორმაცია და შესაბამისი გადაწყვეტილება.

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის დროს გამოყენებულია საინფორმაციო და ანალიზის მეთოდები.

შედეგები და იმპლიკაციები: ნაშრომზე მუშაობისას, მკაფიოდ გამოიკვეთა არსებული პრობლემები, აღნიშნულზე მიმდინარე მოვლენები, ის რომ ეკონომიკურ და ფინანსურ განათლებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერის კეთილდღეობისათვის. ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა დამოკიდებულია ქვეყნის სამუშაო ძალის უნარებზე, თვისებებსა და ღირებულებებზე. თანამედროვე უნარების მქონე, საქმეში ჩართულ, მოტივირებულ და საქმისადმი ერთგულ ადამიანებს შესწევთ უნარი შექმნან ახალი ტექნოლოგიები, გააუმჯობესონ და უზრუნველყონ ქვეყანაში ცხოვრების მაღალი სტანდარტი. გამოიკვეთა რომ ეკონომიკური და ფინანსური კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფისათვის საჭიროა შესაბამისი განათლების მიღება და სტრატეგიის შემუშავება, ფინანსურად განათლებულ ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი დანაზოგებისა თუ ინვესტიციების განხორციელებაზე, სესხის აღებასა და სხვა ფინანსურ საკითხებზე, საჭიროა საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების მიღება, შესაბამისი ბროშურების გამოცემა; მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელია ის რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ მიღებულია 2016 წლის 15 დეკემბრის N145/04 ბრძანება – საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ – რომლის დანართში „ფინანსური განათლება ფინანსური კეთილდღეობისთვის!“ მითითებული ინფორმაცია საშუალებას მისცემს მომხმარებლებს (მოსახლეობას) დაიცვან თავიანთი უფლებები და მათი ფინანსური კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფისათვის ქმედითი ნაბიჯები გადადგან.

დასკვნა: შემოსავლები შეუძლებელია ყოველთვის ზუსტად აკმაყოფილებდეს ადამიანის ფინანსურ მოთხოვნებს, ვინაიდან, შემოსავლები ყოველთვის სტაბილური არ არის, ასევე, შესაძლოა გაჩნდეს დაუგეგმავი ფინანსური გასავალი, გამოწვეული გაუთვალისწინებელი ხარჯებით (მაგალითად, სარემონტო სამუშაოები; სამედიცინო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები და აშ) ან/და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის დაგეგმილი გასავალი (უძრავი ქონების შეძენა, მცირე ბიზნესით დაინტერესება და აშ.), სწორედ ამიტომ ეკონომიკური კეთილდღეობა, ეკონომიკური თავისუფლება, ფინანსების სათანადო დაგეგმარება ფინანსური სტაბილურობის მიღწევის წინაპირობაა.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური სტაბილურობა, გეგმა, თავისუფლება, ეფექტურობა, კეთილდღეობა.

ფულსა და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს შეისწავლის და არეგულირებს **ფინანსები**, როგორც ვიცით **ფინანსებში მოიაზრება** პირადი და ოჯახის, მცირე ბიზნესის, კორპორაციული (საწარმოების და ბიზნესის ფინანსები), საბანკო და არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსები;

პირადი ფინანსები გულისხმობს საკუთარი ფულადი რესურსების შემოსავლის და ხარჯების დაგეგმარებას, ასევე, საბანკო ვალდებულებებსა და აქტივებსაც.

თუ გადავხედავთ არსებულ მონაცემებს ეკონომიკურ სტაბილურობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი სოციალური კეთილდღეობაა, საჭიროა ვიცოდეთ ადამიანების სურვილები და შესაძლებლობები, ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ინდივიდებს უნდა მიეცეთ საშუალება მიაღწიონ საკუთარი რეალიზების მაქსიმალურ დონეს და გაცილებით უკეთესი შედეგი შეიძლება მივიღოთ, თუ აქტივობებისა და უნარების კონსოლიდაციას მოვახდენთ.

ეკონომიკურ და ფინანსურ განათლებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერის კეთილდღეობისათვის. ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა დამოკიდებულია ქვეყნის სამუშაო ძალის უნარებზე, თვისებებსა და ღირებულებებზე. თანამედროვე უნარების მქონე, საქმეში ჩართულ, მოტი-

ვირებულ და საქმისადმი ერთგულ ადამიანებს შესწევთ უნარი შექმნან ახალი ტექნოლოგიები, გააუმჯობესონ და უზრუნველყონ ქვეყანაში ცხოვრების მაღალი სტანდარტი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით დასაქმებული და უმუშევარი მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები ბოლო სამი წლის განმავლობაში იძლევა შემდეგ სურათს (იხ. ცხრილი N1)

ცხრილი N1

ინფორმაცია საქართველოში მოსახლეობის დასაქმების და უმუშევრობის რაოდენობის შესახებ			
	2016	2017	2018
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	1 996.2	1 983.1	1 939.9
დასაქმებული, ათასი კაცი	1 717.3	1 706.6	1 694.2
უმუშევარი, ათასი კაცი	278.9	276.4	245.7
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	14	13.9	12.7

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უმუშევრობის დონე ბოლო სამი წლის განმავლობაში საშუალოდ შემცირდა 0,7%-ით, ხოლო, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით სამომხმარებლო ფასების ინფლაცია წინა წლებთან შედარებით - საშუალო წლიურის წინა წლის საშუალო წლიურთან მიმართებაში 2016 წელს შეადგენდა - 102.1 მაჩვენებელს; 2017 წელს -106.0-ს; 2018 წელს - 102.6-ს;

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს, ხოლო, **მცირე ბიზნესის** სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500 000 ლარს.

მცირე საწარმოთა ძირითად მასას ქმნიან კომპანიები, სადაც 20 კაცზე ნაკლებია დასაქმებული. ახალი სამუშაო ადგილების 2/3-ის ფორმირებას სწორედ მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ. მცირე საწარმოები ეფექტიანობას ავლენენ არა მარტო სამომხმარებლო სფეროში, ასევე მრეწველობასა და გადამამუშავებელ დარგებშიც.

კორპორაციული ფინანსები გულისხმობს საწარმოთა და კორპორაციათა ფინანსების ორგანიზაციისათვის და მათი საქმიანობის მიზნებისა და ამოცანებისათვის გაწეულ ფინანსურ დანახარჯებს; **კორპორაციული** ფინანსების ორგანიზაციის პრინციპებს შეიძლება მივაკუთვნოთ: საწარმოებისათვის (კორპორაციებისათვის) საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებაზე გადაწყვეტილებების მიღება და რეალიზაციაში სრული დამოუკიდებლობა; არსებული მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე. საწარმო (კორპორაცია) უშუალოდ გეგმავს თავის საქმიანობას და განსაზღვრავს განვითარების პერსპექტივებს გამოშვებულ პროდუქციაზე (მომსახურებებზე) მოთხოვნიდან გამომდინარე. ოპერატიული და მიმდინარე გეგმების საფუძველს შეადგენენ პროდუქციის (მომსახურების) მომხმარებლებთან და მატერიალური რესურსების მომწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებები (კონტრაქტები). ფინანსური გეგმები მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ ფულადი რესურსებით საწარმოო გეგმებში (ბიზნეს-გეგმებში) გათვალისწინებული ღონისძიებები, აგრეთვე, სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემის ინტერესების გარანტიით, კორპორაციების მიერ ხდება დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა, კორპორაციის განვითარებაში დაბანდებული სახსრები უნდა ანაზღაურდეს მოგებისა და სხვა საკუთარი ფინანსური რესურსების ხარჯზე. **კორპორაციული ფინანსების** ცოდნა ხელს უწყობს ფინანსურ და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას, კორპორაციული ფინანსების წარმატებული და

შედეგიანი მართვა ორგანიზაციის მიზნების განსახორციელებლად გულისხმობს რესურსებით უზრუნველყოფის დაგეგმვას და კონტროლს.

კორპორაციები (იგულისხმება ფორმები მრავალი აქციონერებით) ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. მთლიანი შიდა პროდუქტის უმეტესი ნაწილი სწორედ კორპორაციებში იქმნება. შესაბამისად, კორპორაციების მიერ შექნილი მთლიანი შიდა პროდუქტი ცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირების მთავარ წყაროს წარმოადგენს. კორპორაციების ფინანსები წარმოადგენს ფულად ურთიერთობას, რომელიც შემოსავლის განაწილების პროცესში, ფულადი ფონდების ფორმირებითა და გამოყენებით, კორპორაციების მიზნების რეალიზებას უზრუნველყოფს. კორპორაციის ფინანსები სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ქვეყნის ცხოვრების სტანდარტის ერთ-ერთ ინდიკატორად.

საბანკო ფინანსები შეისწავლის საბანკო საქმეს, რომელიც მოიცავს საბანკო სექტორსა და ეკონომიკის დანარჩენ სფეროებს შორის ურთიერთობებს; ბიზნესის და მენეჯმენტის საფუძვლებს; ფინანსური მომსახურების, მისი მრავალსახეობებისა და ფინანსური მომსახურების გაყიდვის თავისებურებებს; ფინანსური ინსტიტუტებს; ორგანიზაციების და ბანკების გლობალურ ეკონომიკურ გარემოს; კრედიტის და სესხის გაცემის პრინციპებს და აშ.

ეკონომიკურ კეთილდღეობას და ეკონომიკურ წარმატებას მთლიანი შიდა პროდუქტით განსაზღვრავენ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით მშპ და ეკონომიკური ზრდა სტატისტიკურად შემდეგნაირად გამოიყურება: 2016 წელს დაფიქსირდა 2,8%; 2017 წელს - 4,8%; 2018 წელს - 4,7%, ხოლო, 2019 წელს დაგეგმილია - 4,5%. (https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda),

დღეს კეთილდღეობას ის ქვეყნები და ის კომპანიები აღწევენ, რომლებიც სწრაფად აღიქვამენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ითვალისწინებენ გლობალიზაციის მოთხოვნებს, გლობალური ეკონომიკის პირობებში კონკურენციის ხელოვნების დაუფლება როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე ქვეყნის წარმატების საწინდარია, კეთილდღეობის ეკონომიკა ორგანულად დაუკავშირდა კონკურენციის ეკონომიკას, მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომპანიებმა წარმატებას საერთაშორისო ბაზარზე ეკონომიკის ახალი სტრატეგიით – ახალი ინოვაციური სისტემით მიაღწიეს, სტრატეგიით, რომელიც კომპრომისების გადაჭრის ხელოვნებად არის აღიარებული კონკურენციაში. როგორც მსოფლიო პრაქტიკიდან ჩანს, კონკურენტული უპირატესობა ყველაზე პროგრესულ და დინამიკურ დარგებში მიიღწევა. მომთხოვნი მომხმარებლები კომპანიებს არ აძლევენ მოდუნების საშუალებას, ამიტომ მეწარმეები წარმოების მუდმივი განახლების, სიახლეების დანერგვისა და განვითარების რეჟიმში არიან. საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციის სტატისტიკური მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად: (იხ. ცხრილი N2)

ცხრილი N2

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით ბიზნესის რეგისტრაციის სტატისტიკა											
წელი	იმ	სპს	კ	შპს	სს	კს	უსიპფ	აიპ	უაიპფ	სსიპ	მთლიანად
2016	23650	2	550	21259	78	0	210	1898	14	3	47664
2017	24259	15	251	25445	106	1	152	1552	3	2	51786
2018	24907	31	179	25144	136	3	99	1257	6	7	51769
2019 (იანვარი/თებერვალი)	4482	1	37	3677	32	0	22	211	0	1	8463

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საწარმოთა დეკლარირებული მონაცემებით ფინანსების ბრუნვა 2016 წელს შეადგენდა 64.1 მილიარდ ლარს, 2017 წლის

მონაცემებით - 71.7 მილიარდ ლარს, 2018 წლის მონაცემებით 85.5 მილიარდ ლარს, ხოლო, 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით 22.9 მილიარდ ლარს, საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 2016 წელს შეადგენდა - 666.8 ათას კაცს, 2017 წელს - 708.2 ათას კაცს, 2018 წელს - 684.5 ათას კაცს ხოლო, 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით შეადგენს - 663.8 ათას კაცს. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2016 წელს შეადგენდა 938.3 ლარს, 2017 წელს - 1 019.7 ლარს, 2018 წელს საშუალოდ - 1190.55 ლარს, ხოლო 2019 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით შეადგენს - 1 151.9 ლარს.

პირადი ფინანსების განაწილების საკითხში განათლების დონე ეტაპობრივად იმატებს, მართალია სტატისტიკური მონაცემებით უმუშევრობის დონე შემცირდა 0.7%-ით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ უმუშევარია ადამიანი, თუკი ის სასურველ სამუშაოს, სასურველი ანაზღაურებით არ ასრულებს. ბოლო წლების განმავლობაში ადამიანებმა გარკვეული ფინანსური განათლება მიიღეს, თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს დღეის მდგომარეობით ადამიანების „პირადი ფინანსების“ განაწილების დროს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის დაგეგმილი (ერთ-ერთი) გასავალი გაზრდილია, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ვებ გვერდზე (<http://www.napr.gov.ge/>) განთავსებულ სტატისტიკის უძრავი ქონების ბაზარი შემდეგნაირად გამოიყურება: არაპირველადი რეგისტრაციები (ანუ ნასყიდობა, ჩუქება, წინასწარი რეგისტრაცია და ა.შ.) 2010 წელს შეადგენდა 274728 რეგისტრაციას; 2011 წელს - 355550; 2012 წელს - 372646; 2013 წელს - 391627; 2014 წელს - 428414; 2015 წელს - 443655; 2016 წელს - 499109; 2017 წელს - 609343; 2018 წელს - 648281. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს რომ ბოლო 8 წლის განმავლობაში საშუალო არითმეტიკული მონაცემებით წლიურად შემდგომი რეგისტრაციები (უძრავი ქონების ბაზარმა) 12.8 %-ით გაიზარდა, ასევე, 2019 წლის იანვრის მონაცემებით წინა წლის იმავე თვესთან შედარებით გაიზარდა მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების წილი 7.4 %-ით: 2019 წლის იანვარში განხორციელებული სარეგისტრაციო ტრანზაქციები - 75.8%-ს მეორად ტრანზაქციას შეადგენს, ხოლო, 2018 წლის იანვრის კი 68.4%-ს.

ეკონომიკური და ფინანსური კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფისათვის საჭიროა შესაბამისი განათლების მიღება და სტრატეგიის შემუშავება. ფინანსურად განათლებულ ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი დანაზოგებისა თუ ინვესტიციების განხორციელებაზე, სესხის აღებასა და სხვა ფინანსურ საკითხებზე, მაშინ როცა ფინანსური ცოდნის არქონა იწვევს მოსახლეობის ისეთ არასახარბიელო შედეგებთან შეჯახებას, როგორცაა: ზედმეტი დანახარჯები, ჭარბვალიანობა, მაღალი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე. ეს ყველაფერი კი მათ ფინანსურ კეთილდღეობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. გარდა ამისა, ფინანსური გაუნათლებლობის პირობებში უფრო მაღალია მომხმარებლების უფლებების დარღვევის რისკი. ამდენად, ფინანსური საკითხების ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია და ფინანსური განათლებაც თითოეული ადამიანის არსებით ცხოვრებისეულ უნარად იქცა. სწორედ ამიტომ, აღნიშნულმა საკითხმა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა როგორც მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის, ისე მისი უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ეკონომიკური განვითარება ადამიანებს პოტენციური სარგებლის ზრდის საშუალებას აძლევს: კონკურენტული გარემო ბაზარზე შემოთავაზებული ფინანსური მომსახურებების დახვეწას უწყობს ხელს, მომხმარებელს უკეთესი არჩევანის საშუალებას აძლევს და ამავდროულად, ფინანსური ინსტიტუტებისაკენ გზას იმ ადამიანებსაც უკვალავს, რომლებსაც აქამდე სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდულად ჰქონდათ ფინანსებზე წვდომა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოწვევები ზრდის რისკებსაც, რომლებიც შესაძლოა არც არსებული, და არც ახალი მომხმარებ-

ლებისთვის ნაცნობი არ არის. ფინანსური განათლების დონის ამაღლება დაეხმარება მოსახლეობას არ დააყენოს საკუთარი თავი გაუაზრებელი რისკების წინაშე.

მართალია ინდივიდუალური ფინანსური ცოდნა ნელ-ნელა მატულობს (მცდარი დანახარჯებიდან გამოწვეული შედეგებისა თუ სხვა სახის ინფორმაციების ხარჯზე), თუმცა საჭიროა საქართველოს მოსახლეობისათვის მეტი და ხარისხიანი ფინანსური განათლების მიწოდება, შესაბამისი ბროშურების გამოცემა; გამოკითხვების ჩატარება და შესაბამისი ზომების მიღება, დღეს ფინანსური წიგნიერება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე, რადგან ხალხი მართავს საკუთარ ანგარიშებს, საპენსიო ანგარიშებს, ატარებს პირად აქტივებს ინტერნეტით და ატარებს სტუდენტურ, სამედიცინო, საკრედიტო ბარათებს და იპოთეკით ტვირთავს საცხოვრებელ თუ არასაცხოვრებელ ფართებს, მოძრავ და უძრავ ქონებას.

ფინანსური განათლების არარსებობა არ წარმოადგენს პრობლემას მხოლოდ განვითარებად ან განვითარებულ ეკონომიკის ქვეყნებში, მომხმარებლები განვითარებულ ან მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში ასევე ვერ ახერხებენ ფინანსური პრინციპების მტკიცედ გაცნობას, რათა გაიგონ და მოლაპარაკება მოახდინონ ფინანსური გეგმიური თუ არაგეგმიური დანახარჯებისათვის, ეფექტურად მართონ ფინანსური რისკები და თავიდან აიცილონ ფინანსური ხარვეზები. საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება, სასურველია საკუნსულტაციო ადგილების შექმნა, სადაც შეისწავლიან ეფექტურად ბიუჯეტის შედგენას/მართვას (როგორ შეიძინონ სახლი, დააფინანსოს ბავშვების განათლება, საკუთარი გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი ხარჯები და უზრუნველყონ შემოსავალი საპენსიო ასაკში, ისე რომ არ აღმოჩნდნენ ჭარბვალიანთა რიგებში).

ფინანსური წიგნიერების დონე განსხვავდება განათლებისა და შემოსავლის დონის მიხედვით, მაგრამ გამოკვლევებიდან ჩანს, რომ მაღალკვალიფიციური განათლების მქონე ადამიანები, რომლებსაც აქვთ მაღალი შემოსავლები, ფინანსური საკითხების შესახებ ისეთივე უცოდინარნი შეიძლება იყვნენ, როგორც ნაკლებად განათლებული, დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) დაასახელა კანადაში ჩატარებული გამოკითხვა, რომლის თანახმად, საპენსიო შემნახველი გეგმისთვის შესაფერისი ინვესტიციის არჩევა უფრო სტრესული იყო ვიდრე სტომატოლოგთან ვიზიტი.

ფინანსური ცოდნა არის ფინანსური, საკრედიტო და სესხის მენეჯმენტის შერწყმა და იმ ცოდნის მიღება, რომელიც აუცილებელია ფინანსურად პასუხისმგებელი გადაწყვეტილებების მისაღებად - გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელია. ფინანსური ცოდნა მოიცავს იმის გაგებას, თუ როგორ მუშაობს საგადადამხდელო ანგარიში, რას ნიშნავს საკრედიტო ბარათის გამოყენება და როგორ უნდა ავიცილოთ ვალი. მოკლედ რომ ვთქვათ, ფინანსური წიგნიერება გავლენას ახდენს ყოველდღიურ საკითხებზე, რომელსაც საშუალო ოჯახი აწარმოებს, როდესაც ცდილობს დაბალანსდეს ბიუჯეტი, შეიძინოს სახლი, დააფინანსოს ბავშვების განათლება და უზრუნველყოს შემოსავალი საპენსიო ასაკში.

ფინანსური წიგნიერების არარსებობა არ წარმოადგენს პრობლემას მხოლოდ განვითარებად ან განვითარებად ეკონომიკებში. მომხმარებლები განვითარებულ ან მოწინავე ეკონომიკებში აგრეთვე ვერ ახერხებენ ფინანსური პრინციპების მტკიცედ გაცნობას, რათა გაიგონ და მოლაპარაკება მოახდინონ ფინანსური ლანდშაფტისთვის, ეფექტურად მართონ ფინანსური რისკები და თავიდან აიცილონ ფინანსური ხარვეზები. ერები გლობალურ დონეზე, კორეიდან ავსტრალიამდე გერმანიამდე, ხვდებიან ხალხს, რომელთაც არ ესმით ფინანსური საფუძვლები.

ფინანსური წიგნიერების დონე განსხვავდება განათლებისა და შემოსავლის დონის მიხედვით, მაგრამ მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ მაღალკვალიფიციური მომხმარებლები, რომლებსაც აქვთ მაღალი შემოსავლები, ფინანსური საკითხების შესახებ ისეთივე უცოდინარი შეიძლება

იყვნენ, როგორც ნაკლებად განათლებული, დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებლები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) დაასახელა კანადაში ჩატარებული გამოკითხვა, რომლის თანახმად, საპენსიო შემნახველი გეგმისთვის შესაფერისი ინვესტიციის არჩევა უფრო სტრესული იყო ვიდრე სტომატოლოგთან ვიზიტი.

ფინანსური წიგნიერება არის საკითხი, რომელსაც ფართო გავლენა აქვს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და შესაძლებლობა გააუმჯობესოს გლობალური ეკონომიკისკენ მიმავალი გზა, მიიღოს კონკურენტუნარიანი და ძლიერი ეკონომიკა.

ფინანსური განათლების გაუმჯობესება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მოქალაქეების უზრუნველ მომავალზე. ბოლოდროინდელი ტენდენციები კიდევ უფრო ამძაფრებს იმას, რომ მოქალაქეებმა გააცნობიერონ ძირითადი ფინანსები. მართალია დღეს არსებული შემოსავალ/გასავლის ფონზე ეს არც ისე იოლია, თუმცა ფინანსური განათლება შეამსუბუქებს ცხოვრებისეულ ტვირთს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფინანსური განათლება ყველასათვის–ფონდი კრისტალი–2014 წელი „თბილისი“
2. Economic Prosperity Factors (By: Lillian Wade, *Updated September 26, 2017*)–bizfluent
3. უნივერსიტეტის მართვის სახელმძღვანელო ნაწილი 1. ფინანსური მართვის არსი, მიზნები და ფუნქციები.
4. შემოსავლების სამსახური – (ვებ გვერდი–<https://www.rs.ge/>)
5. კორპორაციათა ფინანსები (ლექციების კურსი) - კორპორაციული ფინანსების ორგანიზაციის პრინციპები (<http://www.nplg.gov.ge>)
6. გურამ ცხვირავაშვილი- „ფული და ფინანსები“
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ვებ გვერდი)
8. კეთილდღეობა ყველასათვის, კეთილდღეობა კონკურენციის გზით _ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები. ჟურნალი "ეკონომიკა – XXI საუკუნე"
9. Why financial literacy is so important–PERSONAL FINANCE CREDIT & DEBT–BY KRISTINA ZUCCHI, CFA–Updated Jun 25, 2019,
10. საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია, ფინანსური განათლება ფინანსური კეთილდღეობისთვის! შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თბილისი, 2016 წელი;
11. <https://napr.gov.ge/> –სტატისტიკური მონაცემები.